სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23172508785024

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241134363

რეგისტრაციის თარიღი

02.09.2024 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 2997150

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის ორ სექტემბერს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **სპარტაკ გოგინავამ**. მან განაცხადა, რომ არის **სააქციო საზოგადოების „კრწანისი–პური"**, საიდენტიფიკაციო №204382337, დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 12 აპრილს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №B24046820 და რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც საზოგადოების სახელით უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **ლევან გოგინავას**. მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **სპარტაკ გოგინავამ**, დაბადებულმა 1941 წლის 1 ივლისს ფოთში, პირადი №01007001689, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №71, ბინა 1.

მე მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირებს. ამ განმარტების შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასოცდაოთხი წლის ორ სექტემბერს მე, **სააქციო საზოგადოების „კრწანისი–პური"**, საიდენტიფიკაციო №204382337, დირექტორი, **სპარტაკ გოგინავა**, დაბადებული 1941 წლის 1 ივლისს, პირადი №01007001689, ვანიჭებ უფლებამოსილებას **ლევან გოგინავას**, დაბადებულს 1974 წლის 18 აპრილს თბილისში, პირადი №01007003575, მცხოვრებს ქ.თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №71, ბინა 1, წარმოადგინოს სს „კრწანისი–პური" ნებისმიერ ორგანიზაცია–დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მართოს საზოგადოების სახელზე არსებული ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, აწარმოოს ყველა საბანკო ოპერაცია შეუზღუდავად, საზოგადოების სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები, ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ამონაწერები. დადოს ხელშეკრულებები, შეიტანოს ცვლილებები ხელშეკრულებებში და/ან გააუქმოს ხელშეკრულებები, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება სს „კრწანისი–პური"–ს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სრულად განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მიმნდობის მიერ მის გაუქმებამდე.

მინდობილობა დადასტურებულია სამ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 12 აპრილს მომზადებული ამონაწერი სს „კრწანისი–პური"–ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №B24046820.

გადახდილია 40,40 ლარი - აქედან: საზღაური 30,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7 მუხლის საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 5,40 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

სს „კრწანისი–პური"–ს
სახელით, დირექტორი [illegible]

ნოტარიუსი ნინო მასხულია

თანხმობა

მე როგორც ს.ს. „კრწანისი პური“-ს (ს/ნ 204382337) დირექტორი სპარტაკ გოგინავა (პ.ნ. 01007001689), ვაცხადებ თანხმობას მიწის ნაკვეთთზე ს.კ. 01.18.09.009.005-ზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, შეთანხმდეს და გაიცეს მშენებლობის ნებართვა დემონტაჟის პროექტზე.

ს.ს. „კრწანისი პური“-ს:

წარმომადგენელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241408503
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.10.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ბაქრაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	23926069135024

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაერთ ოქტომბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. #16, მომმართა ლევან გოგინავამ (დაბ. 18.04.1974 წელს, პირადი # 01007003575) მან წარმომიდგინა თნხმობა და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე განვუმარტე მას, რომ პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და არც დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6.00 (ექვსი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი. სულ ჯამში: 12.08 ლარი;

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

თანხმობა

მე როგორც შ.პ.ს. „კრწანისი“-ს (ს/ნ 204390550) დირექტორი ირაკლი აბულაძე (პ.ნ. 01027012746), ვაცხადებ თანხმობას მიწის ნაკვეთთზე ს.კ. 01.18.09.009.006-ზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, შეთანხმდეს და გაიცეს მშენებლობის ნებართვა დემონტაჟის პროექტზე.

შ.პ.ს. „კრწანისი“-ს დირექტორი:

ირაკლი აბულაძე (პ.ნ. 01027012746)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241408466
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.10.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ბაქრაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12462597686024

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაერთ ოქტომბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. #16, მომმართა ირაკლი აბულაძემ (დაბ. 20.03.1954 წელს, პირადი # 01027012746) მან წარმომიდგინა თნხმობა და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე განვუმარტე მას, რომ პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და არც დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6.00 (ექვსი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი. სულ ჯამში: 12.08 ლარი;

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე